წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. კვირა, 9 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონ [illegible] გვერდზე პეტიტის [illegible] ქრონიკის [illegible] კნელზე—20 კ. კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 77 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 77

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში

გაზეთი

„საქართველო“

ღირს:

მთელის წლით—15 მ., $^1/_2$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 12 მ.—50 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ელისაბედი, შვილები: ეკატერინე, ანტონი, მიხეილი და სიძე ალექსი მელუა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს მთავარ-დიაკონი

სპირიდონ დავითის ძე

უთმელიძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 8 საათზე თავის ბინაზე, საეკლესიო სახლში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(1—590—1)

სკოლა წალვერის ტყეში

ზ. გ. არჯევანიძისა.

ორივე სქესის ბავშვების მიღება.

თბილისი, მალაკნების ქ., 27 საღამოს 5—7 საათამდე.

(2—591—1)

მიიღეთ ფრანგულ აგრეშუმის ქიის თესლი ცნობილ ფირმებისა

ბერთენი

და

ჩვენ მიერ საკუთრად შეკვეთილი ოთხკუთხიან კოლოფებში.

კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: ტ. ხ. მირზაიანცს, თბილისი, განოვის ქ. № 8. ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში.

(10—576—4)

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამმა

10—16 აპრილამდე.

ორშაბათს
სინემატოგრაფი
სამშაბათს
საღამო—კონცერტი
ლ. გ. მირაევისა.
ოთხშაბათს
სინემატოგრაფი
ხუთშაბათს
ქართული წარმოდგენა.

პარასკევს
კონცერტი
მომღერალ ქალის ვოლ ლევიცკის მონაწილეობით
შაბათს
„მინიატიური“
კვირას
დასასრული ოპერეტკების სეზონისა.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამოს 9 საათზე. წარმოდგენებისა $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ. (1—625—1)

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო სურათებიანი კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

№ 15 შინაარსი:

1, გ. ქუჩიშვილი—ხალხის ბელადებს; 2, ივ. გომართელი—სოფლის ხალხს; 3, იოსებ იმედაშვილი—თეატრი და რევოლიუცია; 4, ლ. ძიძიგური—სევდის ნაფლეთები; 5, გრ. საქარიქედელი—პეტრე რუსი; 6, მიხ. კიაზოშვილი—ჩვენ და თეატრი; 7, ილო—ჟი ქაა!; 8, გ. თედმისხეველი—ნიჭის ძალა; 9, იასე რაჭველი—დიდება შენდა! (კარლო ჩხეიძის მიმართ); 10, გ. ჯაბაური—სახ. თეატრის ისტორია; ლექსები: ი. რაჭველის, ი. მოსაშვილის, კ. ძიძაძის, შ. მოლაშვილის; სურათები.

თითო ნომერი—15 კ., წლიურად—8 მ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძ. № 1), ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. აქვე მიიღება ხელის მოწერა საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ“ გაზ. „ხალხის ერთობა“-ზე, წლ. 5 მან.

(1—592—1) რედ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

მამასახლისთა საბჭო „ახალი საკრებულოისა“

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

ამით აუწყებს ბ. ბ. კლუბის წევრებს, რომ კვირას, 9 აპრილს დანიშნულია კლუბის შენობაში წლიური

საზოგადო კრება

კრება კანონიერად ჩაითვლება, როგორც მეორედ მოწვეული.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება მამასახლისთა საბჭოსი 1916 წ. მოღვაწეობის შესახებ.
2) განხილვა ანგარიშისა და მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3) მოხსენება სხვა და სხვა მიმდინარე კითხვებზე.
4) არჩევა მამასახლისთა, მათ მოადგილეთა და სარევიზიო კომისიისა.
5) არჩევა კლუბის წევრთა და მათ მოადგილეთა.

(1—643—1)

ბუნდოვანი მომავალი

საქართველოს ეროვნულ უფლებათა აღდგენის მომენტი ძლიერ მოახლოვებული იყო. დღეს ის უკვე საკმაოდ დაგვშორდა და, ეჭვი არ არის, კიდევ უფრო დაგვშორდება. ამის მიზეზი მხოლოდ ჩვენა ვართ. ვერ დავდებთ ბრალს რუსეთის დესპოტიურ რეჟიმს, ვინაიდან ის დაიმსხვრა და აღარ არის, ვერც ახალ რუსეთს უსაყვედურებთ—მას არავისთვის არ დაუშლია ბორკილების ახსნა და თავისუფლების განხორციელება.

ნუ თუ მართალნი იყვნენ ისინი, ვინც ამტკიცებდენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ იმდენათ მომზადებულნი, რომ ეროვნული მიზნები განვახორციელოთ!

რუსეთის რევოლიუციამ ეროვნული უფლებები აღუდგინა თითქმის ყველა რუსეთში მცხოვრებ ეროვნებებს. გამონაკლისს ჩვენი სამშობლო შეადგენს. აბა, ვინ დაიჯერებდა, რომ ჩვენი ქვეყანა ეროვნულ თავისუფლების მოპოებაში უკანასკნელ ადგილს დაიჭერდა! ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, სრულს, ანუ ავტონომიურ თავისუფლებას ამყარებენ. თვით ბელოროსები და ესტონელებიც კი, რომელთაც არასოდეს არავითარი სახელმწიფოებრივობა არ ჰქონიათ, დღეს ავტონომიურად ეწყობიან. გამონაკლისს არც კავკასია შეადგენს. ჩრდილო-კავკასიას ფაქტიურად უკვე განუხორციელებია თვითმართველობა-ციმბირის ავტონომიაც განხორციელების გზას ადგია. ამ ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ ზრდა-განვითარებისათვის ავტონომიური წყობილება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, თუმცა რუსებით კი არის დასახლებული.

ყველა ამ ეროვნებათა ავტონომიურად მოწყობა რუსეთის რევოლიუციის პირველს დღეებშივე დაიწყო და გრძელდება უდავოთ, მშვიდობიანათ. ძველის რეჟიმის დროს არავინ არ იწუნარებდა მათს უფლებებს. აბა, ვის გაგვგონებდით რუსეთში ბელორუსების, თუ ესტონელების ავტონომიას? ან უკრაინელების უფლებებს თითო ოროლა მომხრე თუ მოეძებნებოდა. თვით უკრაინული ენის უფლებაც სადაო იყო პროგრესიული რუსეთისთვის. ამ რამოდენიმე წლის წინეთ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს კადეტთა ლიდერის პეტრე სტრუვეს წერილებმა, სადაც ის აშკარად უარყოფდა უკრაინელთათვის მშობლიურ ენის საჭიროებას. დღეს ეს უკრაინელები სრულს ავტონომიას ანხორციელებენ და საკუთარ ჯარებსაც კი აწყობენ. ესტონელებმა ლიფლიანდიას რამოდენიმე მაზრა ჩამოსჭრეს და ესტლიანდიას მიუმატეს, რომ მთელ ამ ტერიტორიაზე ესტლიანდიას ავტონომიური მართვა-გამგეობა განახორციელონ. ყოველივე ამის შესახებ რუსულ პრესაში უბრალო საყვედური და უკმაყოფილების კილოც კი არ გამოუთქვამთ... ჩვენ მხოლოდ მსჯელობა გვაქვს საქართველოს ავტონომიის შესახებ და უკვე აქაურ რუსულს პრესაში, თუ სატახტო გაზეთებში მრავალი საყვედური გვესმის. თვით მსჯელობასაც კი გვიკრძალავენ. საყურადღებო ის არის, რომ ჩვენს შესახებ ასეთს საყვედურს რუსეთის უმემარცხენესი ელემენტებიც გამოსთქვამენ. ეს ერთ რამეს გვეუბნება. როდესაც საქართველოს ავტონომიის საკითხი რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე იქნება დაყენებული, მას ბევრი თანამგრძნობი არ აღმოუჩნდება. ამის საბუთსაც იშოვიან. თქვენი ავტონომია თქვენს მეზობლებს შეავიწროვებსო, გვეტყვიან. თქვენი ავტონომია კავკასიაში ეროვნულ შუღლსა და უთანხმოებას დაჰბადებსო და სხვა.

შემცდარია აზრი, თითქოს დამფუძნებელ კრებაზე საქართველოს ავტონომია უზრუნველყოფილი იქნეს. რუსეთის წარმომადგენლობა, რაც უნდა მემარცხენე ელემენტებისგან არ უნდა შესდგებოდეს ის, საეჭვოა, რომ საქართველოს უფლებების განხორციელებას მხარი დაუჭიროს. ეჭვი არ არის, ჩვენ ერობას შემოგვთავაზებენ. ასე ყოფილა ყველგან. ასე იქნება რუსეთშიაც. ძნელია ეროვნულ ბატონობაზე უარის თქმა, თავის ნებით დამოკიდებული ერის განთავისუფლება. იტყვიან, შესაძლოა დამფუძნებელი კრების წინაშე და რუსული ელემენტი არ დაუჭერს მხარს საქართველოს ავტონომიას, მაგრამ არა რუსები ხომ მისთვის თავს დასდებენო! სამწუხაროდ არც ეს არის მოსალოდნელი. დამფუძნებელ კრების მოწვევისას რუსეთის ყველა ეროვნებათა ავტონომიური უფლებები უკვე განხორციელებული იქნება. დამფუძნებელ კრებას მომხდარ ფაქტთან ექნება საქმე და რაც უნდა სამწუხარო იყოს მისთვის, იძულებული იქნება აღიაროს ყველა ამ ეროვნებათა უფლებები. ამ ეროვნებათ, შესაძლოა, სრულებით არ დასჭირდეთ რაიმე საპარლამენტო ბრძოლის გადახდა.

საქართველოს საკითხი კი სადაო და საბრძოლველი იქნება, და აქ ის სრულიად განმარტოვებული დარჩება. რად უნდა გამოიდვას თავი საქართველოს უფლებებისთვის უკრაინამ ან ლიტვამ? რომ მათი საკითხიც რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გადაუწყვეტელი დარჩენილიყო, მათი ინტერესი მოითხოვდა, რომ სხვისთვისაც მხარი დაეჭირათ, რომ საერთო ძალით თავის უფლებებიც მოეპოვებინათ. ეხლა კი მომავალ დამფუძნებელ კრებაზე მხოლოდ საქართველოს უფლებები იქნება სადაო და საბრძოლველი. არის იმედი, რომ მას საკმაო დამხმარე და მეგობრები აღმოუჩნდება?

ე. მალი.

პარტიათა მიმართ ეპისტოლე

III.

ჩემს ორს წინა წერილში პარტიების ყურადღებას ვაქცევდი იმ გარემოებას, რომ ურთიერთ შორის დამოკიდებულების გამწვავების მაგიერ საჭიროა შეთანხმება, მორიგება და, თუ ძმურად არა, კეთილმეზობლურად მაინც კეთება იმ საზოგადო საქმისა, რომელიც ყველასათვის ძვირფასია. სრული იმედი მქონდა, რომ უთუოდ მოხდებოდა პარტიათა შორის შეთანხმება. სამწუხაროდ, ჩემი იმედი არ გამართლდა ამ მხრით; სამაგიეროდ გამართლდა ჩემი შიში, რომ უთანხმოებას და მოურიგებლობას მოჰყვებოდა ძალმომრეობა. უკვე დაიწყეს ერთმანეთის ცემა-ტყეპა და ერთმანეთის დროშების ხევა-გლეჯა. ეს მოვლენა ფრიად დამაფიქრებელი და ფრიად საზარელია. ვაი თუ ცემა-ტყეპას სიკვდილიც მოჰყვეს, ვაი თუ დროშების ხევასთან სისხლის თხევაც გაიმართოს...

მიზეზი, საქართველოს პოლიტიკურის დასების ორს ჯგუფს შორის ამისთანა გამწვავებას რომ იწვევს, ისევ ეროვნული საკითხია. ერთს ჯგუფს შეუწყნარებლად მიაჩნია ეროვნულის მოთხოვნილების წამოყენება და ეროვნულის მიმართულებით სარევოლუციო საქმის კეთება; მეორე ჯგუფი კი საჭიროდ და აუცილებლად სცნობს სწორედ ახლა ამ კითხვის წამოყენებას. ორსავე ჯგუფს, უეჭველია, თავისი საბუთები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთმანერთი ვერ დაუჯერებიათ საბუთებით და დაჯერების მაგიერ ხანდახან იმისთანა საშუალებას ხმარობენ, რომელსაც არად აქვს მოწინაალმდეგე პარტიის სახელის გატეხა. ერთმანერთის სახელის გატეხისათვის ჯგუფები იმეორებენ ისევ ძველს და დახავსებულს ბრალდებას: ერთის მხრით ეროვნული პარტიები თურმე ბატონ-ყმობის აღდგენას აპირებენ, მეორე მხრით სოციალ-დემოკრატები თურმე ქართველთა შორის სამოქალაქო ბრძოლის ატეხას აპირებენ. ორივე ეს ბრალდება თანაბარის ღირსებისანი არიან და ორსავე ერთნაირი შედეგი მოსდევს. ეს შედეგი არის კონტრ-რევოლუციონურის გრძნობების აშლა და რეაქციონურის მოქმედების გაღვივება.

ეროვნული მოთხოვნილება რევოლუციის ერთი ძირითადი მოთხოვნილებათაგანია. ყოველისავე ჩაგვრისა და უთანასწორობის მოსპობა ახლანდელის რევოლუციის მიზანს შეადგენს. ეროვნული ჩაგვრა და უთანასწორობა ერთი უმწვავესი და უსაშინელესი ბოროტება იყო ძველის რეჟიმისა. ამიტომ რა გასაკვირველია, თუ რუსეთის სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც ასეთი ჩაგვრა და უთანასწორობა იყო, წამოყენებულ იქმნა ეროვნული საკითხი და მოითხოვენ იმისთანა წესწყობილების შემოღებას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს საკვლავოდ ეროვნულს თანასწორობას! ერთი ამისთანა უზრუნველმყოფელი საშუალებათაგანია ავტონომია. არ არის რუსეთის სახელმწიფოში არც ერთი ჩაგრული და თან საკუთარის კულტურის და ტერიტორიის მქონე ერი, რომ დღეს არ თხოულობდეს ტერიტორიალს ავტონომიას.

ფინებმა, რომელთაც ძველის რეჟიმის დროსვე ჰქონდათ ავტონომია, საგრძნობლად შეკვეცილი უკანასკნელის იმპერატორის დროს, მოითხოვეს მისი სავსებით აღდგენა და კიდევაც დაკმაყოფილებულ იქმნენ დროებითის მთავრობისაგან. ესტებმა და ლათიშებმა, რომელთაც თავის დღეში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება არა ჰქონდათ და მუდამ სხვა ერთა ხელში იყვნენ, დღეს მოითხოვეს ტერიტორიალი ავტონომია და კიდევაც მიიღეს დაპირება დროებითის მთავრობისაგან მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ. ლიტველებმა მოითხოვეს ავტონომია, მიიღეს დაპირება დროებითის მთავრობისაგან და შეუდგნენ კიდეც წინასწარ სამზადისს ავტონომიის განხორციელებისთვის. მათმა მეზობლებმა ბელორუსებმაც აგრეთვე მოითხოვეს ავტონომია და შეუდგნენ კიდეც ნიადაგის პრაქტიკულად მომზადებას ეროვნულის ორგანიზაციის შექმნით. მალოროსებმა ანუ უკრაინელებმა, რომელთაც ჩვენ ვერაფრით ვარჩევთ რუსებში, მოითხოვეს ავტონომია და კიდევაც შეუდგნენ ნაწილობრივ მის განხორციელებას. სომხებს ხომ დიდი ხანია ნათხოვნიც აქვთ და დაპირებულიც. თათრებმაც, რომელნიც ცხოვრობენ რუსეთის სხვა და სხვა ადგილს, ზოგან მკვრივად, ზოგან რუსებთან არეულნი, აგრეთვე მოითხოვეს ავტონომია. ავტონომიის მომთხოვნელთ ერთაგან, რომელთაც ჰყავთ სოციალისტური პარტიები (გამონაკლისს მხოლოდ თათრები შეადგენენ, მგონია), ყველას წინ უძღვიან ეს პარტიები, უმთავრესად კი სოციალდემოკრატები. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სოციალისტებს და მათ შორის სოციალ-დემოკრატებს სძულთ ეროვნული ჩაგვრა, ყველაზე მეტად დამღუპველი იმ კლასისათვის, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობენ.

მაგრამ საკითხავია,—რით აიხსნება, რომ სხვა ეროვნებათა ტერიტორიალის ავტონომიის დამცველებად სოციალ-დემოკრატები გამოდიან, ჩვენში კი მათ შეუწყნარებლად მიაჩნიათ ასეთის ავტონომიის მოთხოვნილების წამოყენება! შეუძლებელია ითქვას,

რომ ამის მიზეზი იყვეს პარტიის პრინციპიალი წინააღმდეგობა. ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ითვლებიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულის პარტიის ნაწილად ისე, როგორც, თუ არა ვსცდები, უკრაინის სოციალ-დემოკრატები ითვლებიან იმავე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ნაწილად. თუ ერთს ნაწილს მთელისას ეროვნულ-ტერიტორიალი ავტონომია ერთსს უმთავრესს მოთხოვნილებად მიაჩნია დაჩაგრულის ერისათვის, რატომ მეორე ნაწილი უნდა პრინციპიალად უარჰყოფდეს მას? ცხადია, რომ ან ტაქტიკური მოსაზრება აიძულებს ჩვენში სოციალ-დემოკრატიულს პარტიას დროებით არ წამოაყენოს ეს მოთხოვნილება, ან შეუძლებლად ჰპოვებს ჩვენში ავტონომიის პრინციპის განხორციელებას რომლისამე დაუძლეველის დაბრკოლების გამო... გაკვრით გამიგონია ზოგიერთი, როგორც პირველის, ისე მეორე ხასიათის მიზეზი, მაგრამ დასაბუთებით, აკადემიურად ამ მიზეზების გარჩევა არსად მომისმენია. იქნება მართლაც საქართველოს ავტონომიის შეუწყნარებლობის ისეთი მღაღადებელი საბუთები მოიპოვებოდნენ, რომ მათს წინააღმდეგ ხმის ამოღება არც კი შეიძლებოდეს. თუ ასეთი საბუთები არის, კარგი იქნებოდა მათი გამჟღავნება გაზეთებში, მიტინგებზე და კერძო ლაპარაკში. თუ ამნაირად შეუძლებელია მათი გამჟღავნება, უნდა გაიმართოს დახურული თათბირი ვიწრო კრებაში, რომელშიც მიიღებენ მონაწილეობას პარტიების და რედაქციების წარმომადგენლები. იქნება ამ თათბირზე იქნას ყოველმხრივ გამორკვეული საქართველოს ეროვნული საკითხი და საბოლოოდ დამყარდეს პარტიათა შორის თუ სრული შეთანხმება არა, ისეთი modus vivendi მაინც, რომელიც სპობდეს გამუდმებულს ლანძღვა-თრევას, სახელის გატეხას და ძალმომრეობის ხმარებას.

დ. კარიჭაშვილი.

წერილი ფინეთიდან

(ესტონელთა კონფერენცია).

როგორც დეპეშითაც ვიტყობინებოდი, აპრილს გაიხსნა ქ. ჰელსინგფორსში ესტონელთა კონფერენცია, ესტონეთის მომავალ წესწყობილების ფორმის და მის მისაღწევ საშუალებათა შესამუშავებლად. ჰელსინგფორსის კონფერენცია მეორე იყო, პირველი, ასეთისავე ხასიათისა, შესდგა ქ. იურიევში (დორპატში).

ესტონეთი, როგორც მოგეხსენებათ, შესდგება ესტლანდიისა და ნაწილ ლიფლიანდიის გუბერნიებისაგან. ესტონები ჩამომავლობით მახლობელი ნათესავები არიან ფინებისა და ეკუთვნიან ეგრედ წოდებულ მამალაიხიათა შტოს, რომელ მოდგმითაც დასახელებულია ფინეთის შუა გული და სამხრეთ-დასავლეთი. ესტონთა რაოდენობა უდრის მილიონ ნახევარს. სარწმუნოებით უმეტეს წილად, ლოტერანები არიან. მწიგნობრობა XVI საუკუნიდან ეწყებათ. ესტონელთა ლიტერატურა ვითარდება ფინურ ლიტერატურის დიდის ზედგავლენით, რაც აიხსნება ჩამომავლობითი და ლინგვისტიური ნათესაობით. ფინეთსა და ესტონეთს შორის მჭიდრო იდეიური და, საზოგადოდ, კულტურული კავშირია.

კონფერენციას დაესწრნენ წარმომადგენელნი, როგორც ესტონეთიდან ისე ფინეთში მცხოვრებ ესტონთა კოლონიებიდან. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ჰელსინგფორსში არსებულ „ესტონელთა განმანათლებელ საზოგადოების“ თავმჯდომარე ჟურნალისტი ა. ხიბული. კონფერენციას მეც დავესწარი. მივესალმე როგორც წარმომადგენელი ქართულ გაზეთისა და მოვუწოდე სამოქმედოთ და კავშირისაკენ, რათა შეერთებულის ძალით მიღწეულ იქმნას, საერთო თავისუფლებებთან ერთად, რუსეთში მოსახლე სხვა და სხვა ერთა თავისუფლება. საზოგადოთ, კონფერენციამ მეტად მწყობრად და მშვიდობიანად ჩაიარა, რაც საერთო დადებითი თვისებაა ჩრდილოეთში მოსახლე ერებისა. კონფერენციაზე იყვნენ წარმომადგენელნი ესტონეთის პარტიებისა (ესტონეთში ბევრი პარტიებია). ყველა მათგანი, რასაკვირველია, უკვე გარკვეულის გეგმით იყო მოსული. ესტონეთის დამოუკიდებლობის საკითხს კამათი თითქმის არ გამოუწვევია, კამათი იყო უფრო მეორე ხარისხოვან საკითხებზე. პაექრობა გამოიწვია განსაკუთრებით ერთმა ბრალდებამ, რომელიც წამოყენებულ იქმნა სოციალ-დემოკრატების მიერ ესტონელ კადეტთა პარტიის წინააღმდეგ. ესტონეთის სოციალ-დემოკრატები ბრალსა სდებდენ თავიანთ კადეტებს: თქვენ არ გსურთ, რომ ესტონეთის ავტონომიურ მართველობაში ისეთი დემოკრატიული პრინციპები იქნას გატარებული, როგორც იქნება რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიო. ბრალდებას ასაბუთებდნენ შემდეგით: ესტონელ კადეტთა ერთ-ერთ ყრილობაზე პარტიის ერთ ლიდერთაგანს განუცხადებია, რომ ეხლავე უნდა შევეცადოთ, რათა ესტონეთის ავტონომიურ მართველობაში არ იქნას განხორციელებული სავსებით ყველა ის ოთხი დემოკრატიული დებულება, რომელიც შეეხება არჩევნების სისტემასო. საზოგადოთ, სოციალ-დემოკრატები შიშს გამოსთქვამდნენ, იქნებ ესტონეთის მუშათა კლასი, რომელიც ვერ არის სათანადოთ მომზადებული და შეკავშირებული, სუსტი გამოდგეს ესტონელ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში, რომელიც მეტად ძლიერია და შეკავშირებულიო. ასეთ ეჭვისა და შიშის გასაფანტავად კონფერენციის დადგენილებათა მეხუთე მუხლში გარკვევით იქმნა ნაჩვენები, რომ ესტონეთის დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქმნას საარჩევნო სისტემის იმავე დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით, როგორითაც იქმნება საერთო სახელმწიფოებრივი დამფუძნებელი კრებაო. აქვე მომყავს კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც შემდეგ შვიდ მუხლისაგან შესდგება:

1) ესტონთა კონფერენცია მხარს უჭერს რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკის განხორციელებას;

2) არჩევნები სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრთა უნდა მოხდეს საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის კენჭის ყრით;

3) ესტლიანდია და ჩრდილოეთი ლიფლიანდია უნდა შეერთებულ იქნას მახლობელ მომავალში ერთ გამაერთიანებელ სახელწოდება „ესტონია“-თი.

4) „ესტონიამ“ უნდა მოითხოვოს ტერიტორიალური ავტონომია, რომელიც შეუერთდება ფედერატიულად რუსეთს;

5) „ესტონიის“ ავტონომიის საფუძვლები უნდა შემუშავებულ იქნას ესტონეთის დამფუძნებელ კრების მიერ, რომლის წევრებიც ამორჩეულ იქმნებიან იმავე დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით, როგორც სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრებიო;

6) კონფერენცია სასურველად სცნობს ესტონელ ჯარისკაცთა და მატროსთა რესპუბლიკის მომხრეთ დამოუკიდებელ კავშირის დაარსებას, რომელიც დაკავშირებული იქმნება პეტროგრადის რესპუბლიკანელთა კავშირთან და

7) კონფერენცია წინადადებას აძლევს სოციალ-დემოკრატ ესტონელ ჯარისკაცთ და მატროსებს, რომელნიც ფინეთში იმყოფებიან, შეერთდენ და დაარსონ ჰელსინგფორსში ესტონელთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი.

დასასრულ, კონფერენციამ მთხოვა გადმომეცა ქართველთათვის მათი გულითადი სალამი და მოწოდება ერთად მოქმედებისათვის.

ამით დასრულდა ესტონელთა ისტორიული კონფერენცია ჰელსინგფორსში.

დათიკო ჩიქოვანი.

7 აპრილი, 1917 წ.
ქ. ვიბორგი.

რევოლიუციის დეპეშები

8 აპრილი.

გაფიცვები ჰელსინგფორსში

ჰელსინგფორსი. ლითონზე მომუშავე მუშათა გაფიცვა იყო და მატროსები მიემხრნენ. ეს გარემოება ფინურ გაზეთებს ძალიან აღელვებს. ამბობენ მატროსები მექარხნეებს დაჰმუქრებიან, თუ 8 საათის სამუშაო დღე არ შემოიღეთ იარაღს ვიხმარებთო. ფინური გაზეთები უკმაყოფილონი არიან. შეუძლებელია, რომ რუსის ჯარი ფინეთის საქმეებში ჩაერივნენ ხოლმეო.

მინისტრი ტერეშჩენკოს ჯამაგირი

პეტროგრადი. ფინანსთა მინისტრმა ტერეშჩენკომ თავისი ხვედრი ჯამაგირი დასახიჩრებულ მეომართა სასარგებლოდ გადასდო.

დროებითი მთავრობის განკარგულებანი

პეტროგრადი. დროებითი მთავრობა ჰფიქრობს ახალ რკინის გზათა კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებით შეავსოს. შემდეგში ახალ რკინის გზათა საქმე სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტში კი აღარ გაირჩევა, არამედ განსაკუთრებულ კომიტეტში, სადაც საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელთ დიდი ადგილი ექნებათ დათმობილი. კომიტეტის დადგენილებანი განსახილველად დროებით მთავრობას წარედგინება.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა გალიციის დაპყრობილ ადგილების მართვა-გამგეობა ახალ საფუძველზე დაამყაროს. სამხედრო მთავრობას მხოლოდ სამხედრო საკითხები ჩაჰბარდება.

შეერთებული შტატები და ინგლისის პალატა

ლონდონი. თემთა პალატა. ბერნარ-ლოუმ შემდეგი ფორმულა შეიტანა: „ვუცხადებთ შეერთებულ შტატების მთავრობას და ხალხს ღრმეს აღფრთოვანებას, თემთა პალატა დარწმუნებულია, რომ შეერთებულ შტატების გამოსვლა ომის დიდ და ახალ ხანას შეადგენს. შტატებს ისეთი რესურსები აქვთ, რომლებიც ომის საკითხს გადასწყვეტავენ. უდიდესი საკითხი რაც კი ამ ომმა უნდა გადასწყვიტოს იმაშია, რომ თავისუფალი დაწესებულებანი შესძლებენ თუ არა კაცობრიობის საკეთილდღეოდ პრუსიის მილიტარიზმს გაუმაგრდნენ. ამ მხრივ ამერიკის დიდი რესპუბლიკის ომში მონაწილეობა ჰარმონიულად შეეთანხმა რევოლიუციას, რომელმაც რუსეთი თავისუფალ ერთა შორის ჩარიცხა. ამერიკის ხალხი დარწმუნდა, რომ იმ მიზანთა მისაღწევად, რაც უილსონმა თავის სიტყვაში აღნიშნა „ომია საჭირო“, პალატამ ფორმულა საერთო დასტურით მიიღო. ლორდთა პალატამაც ამგვარივე რეზოლუცია მიიღო.

მინისტრთა კრიზისი ავსტრიაში

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: ავსტრიაში მინისტრთა კრიზისის გამო იმპერატორმა გერმანულ იმპერიის პარტიათა ლიდერები სანახავად მიიღოვო.

ამერიკის გემი

ბორდო. მოვიდა შეერთებულ შტატების პირველი შეიარაღებული გემი „ონეგა“. გემზე ოთხი ზარბაზანია.

ბრძოლის ველზე

მოკავშირეთა შეტევა დასავლეთის ასპარეზზე უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს. ბრძოლის პირი თანდათან გრძელდება და შესაძლოა ახლო მომავალში საერთო გენერალურ ოპერაციასთან გვქონდეს საქმე. ფრანგებისა და ინგლისელების მიერ დაწყებული შეტევა გაგრძელებაა მდ. სომაზე ყოფილ ბრძოლისა. სუასონთან შეკრილი გერმანელების ხაზი იმდენად საშიში და საგრძნობელი იყო მოკავშირეთა მდგომარეობისათვის, რომ უპირველესად მათ სწორედ ამ ხაზის გასწორებისათვის უნდა ეზრუნათ. ეს ასეც მოხდა. ფრანგებმა აიძულეს გერმანელები დაეტოვებინათ კარგა ხნით დაკავებული მიდამოები. სიმართლე უნდა ითქვას, გერმანელები მეტად დიდის დაკვირვებით აწარმოებენ უკან დახევას და ამავე დროს დიდათ აზარალებენ მოპირდაპირეს. ყველას კარგათ ექნება წარმოდგენილი, თუ რა გვარ სიმაგრეების აღება უხდებათ მოკავშირეებს დასავლეთის ბრძოლის ველზე. ისიც მართალია, რომ მოკავშირეთ პირისპირ ბრძოლის წარმოება უხდებათ, რაც მათთვის დიდათ საზარალოა. თუ ასეთი ტემპით იარეს ფრანგებმა და ინგლისელებმა, უეჭველია, სულ ერთი თვის შემდეგ მათი ჯარი, მიუხედავათ გამარჯვებისა, საშინლად დაუძლურებული იქნება. მას აღარ ექნება უნარი აქტიურ ბრძოლისათვის და იძულებული იქმნება შორიდან უმზიროს გერმანელების შეტევას აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე რუსეთის წინააღმდეგ. საზოგადოთ, რუსეთის ასპარეზზე მთავარ გენერალურ ოპერაციის წარმოება, ადგილობრივ პირობების მიხედვით, შეიძლება დაიწყოს მაისის შუა რიცხვებიდან. ამ დრომდე კი მოკავშირეებმა, თუ გინდ რეინამდეც რომ მიაღწიონ, შემდეგ შორს ველარ წავლენ. ნათქვამიდან ცხადია რუსეთი ისევე გამარტოებული დარჩება და მთელი ძლევამოსილი ჯარი მოპირდაპირისა მას დაატყდება თავზე.

X.

ომის დეპეშები

მთავარ შტაბის ცნობა.

8 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის, რუმინეთის და კავკასიის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

მაკედონია

პარიზი. ოფიციალი ცნობა მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზისა. 4 აპრილს მტერმა იერიშები მოიტანა, რომლის დროსაც მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს მდ. ცრნის მახლობლად, სტარობინის მიდამოებში, მაგრამ მაშინვე მოვიგერიეთ. მონასტირის და ჩერვენა სტენის მიმართულებით მტერი მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს, ჩვენც მედგრად ვუპასუხებდით. გორიცის მტერი გავდევნეთ მოსკოპოლიეს იქით და რამდენიმე ავსტრიელი დავატყვევეთ. 5 აპრილს ტბის მიდამოებში მოპირდაპირის იერიში მოვიგერიეთ. ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, მოპირდაპირემ ჩერვენი სტენის მიდამოში ჩვენ მიერ წართმეულ ადგილის დასაბრუნებლად იერიშები მოიტანა და მოახერხა წინ წაწეულ სანგრების აღება. ბრძოლა გრძელდება. მაიადაგას მიდამოებში, ვარდარის მარჯვენა ნაპირას, მოპირდაპირე მედგრად გვიშენს ზარბაზნებს.

საფრანგეთი

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. სომასა და უაზს შუა ზარბაზნებით მედგარი ბრძოლა იყო მთელ დღეს. მდ. ენის ჩრდილოეთით მტერს ფეხდაფეხ ვდევნით და მას გზის მიმართულებით დავახევინეთ. დღის განმავლობაში ავიღეთ ქუიდა ლაფო. აქ მტერს ვებრძვით. კონდეს სიმაგრე ჩვენს ხელში გადმოვიდა. გიურებიზის მიდამოში, ცხარე ბრძოლის შემდეგ, ამ ფერმის ჩრდილოეთით, ხელთ ვიგდეთ 500 ტყვე, და 2 ზარბაზანი 105 მილიმეტრის ყალიბისა. ვერმარიკურის დასავლეთით თვალსაჩინოდ წინ წავიწიეთ და 50 კაციც დავატყვევეთ. შამპანში ცხარე ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. მეროვნილეს მთებში და კარნილიეს მთის პირდაპირ გერმანელების სამაგიერო იერიშები მოვიგერიეთ. ობერივის ჩრდილო-დასავლეთით 2 ვერსის მანძილზე ავიღეთ ძლიერ გამაგრებული თხრილები, რომლებიც ამ სოფელს მერონვილის ტყესთან აერთებს და 50 გერმანელიც დავატყვევეთ. არგონებში ადვილათ მოვიგერიეთ გერმანელების იერიში ბალაეტის მიმართულებით. მაასის მარცხენა ნაპირას, მორტჰომის მიმართულებით და ვოკუას მიდამოებში საკმაოდ ძლიერი ბრძოლა იყო ზარბაზნებით.

ინგლისი

ლონდონი. საღამოს ოფიც. ცნობა. 5 აპრილს საღამოთი მონში-ლეპრეს სამხრეთით ფამნუს აღმოსავლეთით და ლოორის სამხრეთ-აღმოსავლეთით; ხელთ ვიგდეთ ტყვეებიც. ლანსის სამხრეთით მარჯვეთ მოვიგერიეთ ყუმბარების მსროლელი გერმანელები. დღევანდლამდე ხელთ ვიგდეთ მტრის 228 ზარბაზანი.

ესპანია

პარიზი. მადრიდიდან იტყობინებიან: რომანენოსმა მეფეს გადასცა სამინისტროს გადადგომის ქაღალდი. გადადგომა პოლიტიკური მდგომარეობით დაასაბუთა და თან დასძინა, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ რომ მთავრობის სათავეში კვლავ ლიბერალური პარტია ჩადგესო. ახალ სამინისტროს შედგენა ვილლანუევას აკისრა.

იტალია

რომი. იტალიის მთავარშტაბის ცნობა. ლაგორინოს ველში ზარბაზნებს ვუშენთ კალიანოს სადგურს, სადაც დიდი ცეცხლი გავაჩინეთ. გორიციის მიდამოებში ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით. კარსოზე სიბნელით ვისარგებლეთ დ. კასტანევიცის ჩრდილოეთით დავატყვევეთ მეციხოვნე ჯარი და ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალა.

უკანასკნელი ცნობები

ხუხომლინოვის საქმის წინასწარი გამოძიება უკვე დასრულდა და საბრალმდებლო ოქმის შედგენას უკვე შეუდგნენ. საქმე სასამართლოში მაისში გაირჩევა.

პეტროგრადიდან შეძლებული ხალხი საზღვარ გარედ მიდის.

ბერლინში მივიდა ოსმალეთის დელეგაცია და სულთანის შვილი. მათ ვილჰელმს საპატიო ხმალი უნდა მიართვან.

გაჩხრიკეს კიევის შავი კაბინეთი. ამ კაბინეთს სათავეში გერმანელი ჩინოვნიკები ედგნენ. აღმოაჩინეს მიწერ მოწერა გენერალ ხედესოვიჩისა, ბრუსილოვის ცოლისა, გალიციის ყოფილ ნამესტნიკის ბობრინსკისა, დეპუტატებისა სავენკოსი და შულგინისა, მიტროპოლიტ ვლადიმირისა და ტბილისის არქიეპისკოპოსისა პლატონისა. ეს ქაღალდები პეტროგრადში გაიგზავნა. კაბინეთი ვითომ უცხოეთის გაზეთების საცენზუროდ იყო დაარსებული.

დეპეშა

(„საქარ.“ საკ. კორეს.)

სოხუმი. დაიმალა ქალაქის საბჭოს მდივანი სპირიდონ კუხელაიშვილი. ჰბრალდება ჯაშუშობა. თუ აღმოაჩინეთ, ზომები მიიღეთ მის წინააღმდეგ.

აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე თავდგირიძე.

ახალი ამბავი

◆ **პოდპორუჩიკი დ. ქარცივაძე** ერთხმად იქმნა არჩეული თბილისის კომენდანტის უფროს ადიუტანტად.

◆ **ჯარისკაცთა დეპუტატების** საბჭომ 1000 მანეთი გადასდვა პოპულიარ წიგნაკების შესაძენად. საბჭოს აზრად აქვს მოიწვიოს პროპაგანდისტები. იმავე საბჭომ გადასწყვიტა, რომ, ნაცვლად 1 მაისისა, დღესასწაული გაიმართოს ახალ სტილს 1 მაისს, ე. ი. 18 აპრილს.

◆ **პოლიტიკური კლუბები.** ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აზრად აქვს დაარსოს თბილისში 12 პოლიტიკური კლუბი.

◆ **თავისუფლების სესხი.** მინისტრთა თავმჯდომარის ლვოვის დეპეშის გამო, ამ დღეებში მუშათა და ჯარისკაცთა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს შეერთებული კრება ექნებათ, რომელზედაც უნდა გამოარკვიონ, თუ როგორ შეუწყონ ხელი ახალ „თავისუფლების სესხი“-ს საქმეს.

◆ **მუშათა დეპუტატების საბჭოს** ცნობა მოსვლია, რომ თელავსა და თელავის მაზრაში, პოლიტიკურ პარტიათა შორის შეურიგებლობის გამო, დიდად არეულ-დარეულია საქმეებიო. ამის გამო საბჭომ გამოძიება დანიშნა და, თუ მოსული ამბები გამართლდა, საბჭოს გადაწყვეტილი აქვს გადააყენოს ეხლანდელი კომისარი მაზრისა და მის ნაცვლად მ. კლიმიაშვილი დანიშნოს.

◆ **გაანთავისუფლეს სატუსაღოდან** ლ. სალიმატინი და ვ. კალანდაძე, რომელთაც პროვოკატორულ საქმეებს აბრალებდნენ, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს.

◆ **მოსამსახურეთა შტატების გადასინჯვა.** ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა ყოველივე გავლენა იქონიოს დროებითი მთავრობის კომისარიატზე, რომ გადათვალიერებულ იქმნას ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა შტატების რეორგანიზაციის მოსახდენად.

◆ **დაატუსაღეს:** 1) დროებითი მთავრობის განკარგულებით ერევნის გუბერნატორად ნამყოფი სტრელბიცკი, რომელსაც აბრალებენ, რომ დაუწვავს საქმის ქაღალდები; 2) თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილებით პროვოკატორობისათვის ა. ა. შავერდოვი, რომელიც მესამე სავაჟო გიმნაზიაში აღმზრდელად იყო, და ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებლების კონტროლიორი ზ. დ. ივანოვი; 3) ბათომში დაატუსაღეს და თბილისს გამოგზავნეს ი. პ. კარბელაშვილი, რომელსაც აგრეთვე პროვოკატორობას აბრალებენ.

◆ **ახალი კავშირი.** საგასტრონომიო მაღაზიების პატრონებმა გადასწყვიტეს შეკავშირდნენ და შექმნან ერთი ორგანიზაცია, რომლის მიზანი იქნება საქონლის ყიდვა-გაყიდვის ერთ ნორმაში ჩაყენება. საქმის მოსაწესრიგებლად თავიანთ შორის აირჩიეს ბ-ნი ყავლაშვილი და არუთინოვი.

◆ **„ერთობის უბნის“** (ყმალ ნადიროვკად წოდებული) კომიტეტმა გადასწყვიტა ამავე უბანში გახსნას მუშათა კლუბი. საწევრო გადასახადი 50 კაპ. იქნება. სანამ კლუბი მოეწყობოდეს კომიტეტის წევრებმა თავისი ხარჯით გახსნეს სამკითხველო (სამოვოლნი ქუჩა, 22), რომელსაც მოსდის შემდეგი გაზეთები: „ერთობა“, „სახ. ფურცელი“, „საქართველო“, „კავკაზ. რაბოჩი“, „იზვესტია სოლ. და მუშებ. დეპუტ.“, „ფაიქარი“, „ეშმაკის მათ.“, „თეატრი და ცხოვრება“, „ვოზროჟდენიე“, „ტიფლ. ლისტ.“ და „ნაკადული“.

◆ **თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა** კავშირის დელეგატების კრება. ხუთშაბათს, 7 აპრილს, დილის 10 საათზე სახალხო დარბაზში შესდგა თბილისის სახალხო მასწავლებელთა კავშირის დელეგატების კრება. კრებას დაესწრო 92 დელეგატი და ორასზე მეტი კავშირის წევრი არა დელეგატი. კავშირის მთავარ გამგეობის თავმჯდომარემ ვარ. ბურჯანაძემ გახსნა კრება. ამ დროს დარბაზში შემოვიდა ამიერ კავკასიის კომისარიატის წევრი აკ. ჩხენკელი, რომელსაც კრება გულმხურვალედ მიესალმა. აკაკი ჩხენკელმა სიტყვა წარმოსთქვა და აღუთქვა მასწავლებელთ ყოველგვარი დახმარება, შემდეგ კი დარბაზი დასტოვა. კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა და ოვაციები გაუკეთა.

შემდეგ აირჩიეს პრეზიდიუმი: ვარლამ ბურჯანაძე, ყაზბეგი და ღვინიაშვილი. კრება შეწყდა და დაინიშნა გაგრძელება საღამოს 7 საათზე სავაჟო პირველ გიმნაზიაში. აქ კრებამ მსჯელობა იქონია სამოსწავლო ოლქის შემადგენლობაზე და დაადგინა ძველი მოსამსახურენი ყველა გადაყენებულ იქმნას. აგრეთვე კრებამ გადასწყვიტა გადაყენება სამრევლო სკოლების, საოლქო საეპარქიო და სამაზრო ზედამხედველებისა. კრებამ დაადგინა აგრეთვე სასწავლებლებში სწავლა შეწყვეტილ იქმნეს ნაადდგომევს და დადგენილება უნდა ეცნობოს კომისარიატს.

კრების გაგრძელება შემდეგისთვის დაინიშნა.

◆ **კადეტ-ქალთა კრება.** ხუთშაბათს 7 აპრილს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა კადეტ ქალთა კრება, რომლის საგანი იყო მათ შორის ორგანიზაციის შექმნა. კრებაზე ილაპარაკეს პარტიის წევრებმა, გააცნეს დამსწრეთ კადეტთა პროგრამა და აღნიშნეს სახელმწიფოებრივი ცვლილება და განაცხადეს, დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა მოვითხოვოთო. კრებაზე წაკითხულ იქმნა რეზოლიუცია, პეტროგრადის კადეტთა კრებაზე გამოტანილი და კადეტთა პარტიის საამდროვო ლოზუნგები

◆ **საკათალიკოსო წირვა.** დღეს, თომას კვირიაკეს, მოსაყდრე მცხეთის მთავარ ეპისკოპოსისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქისა, ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოისა, სამღრთო ლიტურგიას შეასრულებს სიონის საკათედრო ტაძარში.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტმა** დაადგინა შემოიღოს თბილისში ბარათებით ფქვილის და გამომცხვარი პურის მიცემა.

◆ **ცენტროსახარი** დეპეშით აუწყებს თბილისის სასურსათო კომიტეტს რომ მიწადმოქმედების მინისტრის განკარგულებით ფუთ შაქრის ფასმა 12 კაპეიკით აიწიაო. თბილისში შაქარი ჯერ არ გაუძვირებია კომიტეტს.

◆ **მუშათა საბჭოს დეპუტატების** აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე 4 აპრილს დაადგინეს: 1) პრაპაგანდისა და აგიტაციის გასაძლიერებლათ გლეხებსა და ჯარისკაცებში და მათის ორგანიზაციების შესაქმნელათ შემოიკრიბონ სამოქმედოდ ყველა ინტელიგენტები და გამოუშვან მოწოდებები გლეხებისა და ჯარისკაცების მიმართ. 2) იკულიონ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების საკანტროლო კომისიასთან კომისარი კავკასიის საქმეებისა და ეთხოვოს დროებით მთავრობას პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საშუალებით, რომ ყველა საქმეები, რაც კი შეეხება ამიერ კავკასიას, გარჩეული და გადაწყვეტილ იქნას ამ კომისარის მონაწილეობით.

◆ **თბილისს ჩამოვიდნენ** ი. ქუთათელაძე და აგრონომი დანილევსკი, ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დავალებით უნდა წარუდგნენ ამიერ კავკასიის კომიტეტს და სთხოვონ: მიუცილებლად საჭიროა მთავრობა დაეხმაროს სოფლებს და ბლომათ დაათესვინონ მინდვრები. ამისათვის საჭირო იქნება მიაშველონ მეურნეებს ზოგიერთ ნაწილების ჯარის კაცნი და სამხედრო ცხენები, რადგან მუშა საქონელი სულ ერთიან გასწყვიტა ჭირმა.

◆ **საქარ. ავტონომ. სოც.-დემოკ.** პარტიის გაზეთი „ხალხის ერთობა“ № 2 გამოვიდა. ამ ნომერში მოთავსებულია ივ. გომართელის ვრცელი წერილი „კიდევ ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ.

◆ **არჯევანიძის სკოლაში,** წავკისის ტყეში, მეცადინეობა 20 მაისს დაიწყება. ბავშვების ჩაწერა საჭიროა 1 მაისამდე.

◆ **სახალხო სახლი.** ორშაბათს 10 აპრილს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება იბსენის დრამა „ექიმი შტოკმანი ანუ ხალხის მტერი“. ადგილების ფასი ჩვეულებრივია, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს საკათალიკოსო

მიღებული დეპეშები:

ჟენევი (შვეიცარია). უმორჩილესად ვსთხოვთ თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას, კეთილ ინებოს და აუწყოს ყველა მღვდელმთავრებს და საქართველოს სამღვდელოებას ჩვენის პარტიის აზრი. საქართველოს

უფლება აქვს აღადგინოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალობა, შეჩერებული რუსეთის ძველის რეჟიმის მიერ წინააღმდეგ რუს-ქართველთა შორის 1783 წელს დადებულ ხელშეკრულობისა და კანონიერ უფლებისა. მას შემდეგ, რაც ძველი რეჟიმი დაირღვა და დროებითმა მთავრობამ მანიფესტი გამოსცა, საქართველოს ეკლესიას უფლება აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს კათალიკოსის არჩევას, დაუყოვნებლივ უნდა გადააყენონ თბილისიდან რუსის ეგზარხოსი.

ევროპაში არსებულ საქართველოს ეროვნულ პარტიის წევრნი ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მიხ. წერეთელი (ეს დეპეშა გამოგზავნილია შვეიცარიიდან ყოვლად სამღვდელო ლეონიდესთან 12 მარტამდე).

ახალ-სენაკი. განუსაზღვრელის სიხარულით და აღფრთოვანებით ვეგებებით სრულიად საქართველოს თავისუფალ ეკლესიის ავტოკეფალიის წარმომადგენელს, რომელმაც შეუდრეკელად და გაბედულად გაანთავისუფლა დიდებული ივერიის ეკლესია სინოდის გახრწნილ და ზნეობით დაცემულ ბიუროკრატისაგან, იმ სინოდისა, რომელიც მხოლოდ და მარტო ურწმუნოებას, შურს, სიძულვილს და შხამსა სთესდა მთელის ერთის საუკუნის განმავლობაში. გილოცავთ თქვენ და ივერიის სამღვდელოებას მონობის ბორკილების დამსხვრევას და მტარვალის ბრჭყალებიდან განთავისუფლებას, იმ მტარვალისას, რომელიც ჰკლავდა ჩვენში თავისუფალ შემოქმედებას და ჩვენს სამშობლო ენას მიწასთან ასწორებდა.

სამეგრელოს სამღვდელოების ყრილობის თავმჯდომარე მღვდელი

ჯოხტაბერიძე.

სამწუხარო გაუგებრობა

(გ. ნათაძის წერილის გამო)

აპრილის 2-ს, აღდგომა დღეს თბილისში გამოვიდა პირველი ნომერი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კომიტეტის ორგანოსი „Знамя труда“ („შრომის დროშა“), რომელშიაც ბ-მა გ. ნათაძემ მოათავსა წერილი: „**Автокефалія или свобода совѣсти?**“ („ავტოკეფალია თუ სინდისის თავისუფლება?“). ამ წერილში, სხვათა შორის, გამოთქმულია შემდეგი დებულებანი;

ა) პრინციპიალურ საკითხს სინდისის თავისუფლებისას ბევრნი ურევენ ავტოკეფალიის საკითხთან, ნამდვილად კი „ამ ორ საკითხს საერთო არა აქვსთ რა ურთიერთ შორის“;

ბ) საქართველოს ეკლესიის კანონიურის უფლების აღდგენა არის საქმე „ნაციონალ-დემოკრატების და სხვა ჯგუფებისა, რომელთაც სურსთ თავისი აგრესიული ინსტინქტები დამალონ ისტორიულ და ეროვნულ უფლებათა შირმის ქვეშ“. მთავრობის დეკლარაციის შემდეგ გამოირკვა ქართველი სამღვდელოების მისწრაფებათა ნამდვილი სარჩული: „გამოირკვა, რომ მათ უნდათ კანონიურ უფლებათა აღდგენა იმისთვის, რომ ამით მათ ეძლევათ ტერიტორიალური უფლებანი და ეს კი დაუმორჩილებს მათ ყველა მართლმადიდებელთ, რომელნიც ქართულს ტერიტორიაზე ცხოვრობენ. არა, ბატონებო, ეს სინიდის თავისუფლება არ გახლავსთ, ეს სინიდისის დამონებაა, ეს არის აღდგენა მეორე სახელმწიფოებრივს ეკლესიისა“;

გ) დასასრულ, პატივცემული ავტორი გამოსთქვამს თავის მოსაზრებას სამღვდელოების რჩევის წესისა და აგრეთვე საეკლესიო და სამონასტრო მამულების შესახებ და, როგორც კილოზე ეტყობა, ჰფიქრობს ვითომც ავტოკეფალიის მომხრენი წინააღმდეგნი იყვნენ იმისა, რომ „სარწმუნოება მორწმუნეთა კერძო საქმეა“, რომ სარწმუნოებრივი საზოგადოება (მაშასადამე ეკლესიაც) თავის შესანახ საშუალებებს თავის წევრთა შორის უნდა ჰკრეფდეს და არა ხაზინიდან მოელოდეს, რომ საეკლესიო და სამონასტრო მამულები ხალხს (გლეხობას) უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ სასარგებლოდ.

სრულიად ვიზიარებთ ბ-ნის გ. ნათაძის აზრს, რომ ავტოკეფალია საზოგადოდ და სინიდისის თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. რუსეთის ეკლესია დღემდე ავტოკეფალურია, ე. ი. სხვა ეკლესიაზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ მასში არასოდეს სინიდისის თავისუფლება არ ყოფილა, რადგან რუსეთის ეკლესია დამონებული ჰყავდა საერო მთავრობას და როგორც ჰსურდა ისე ამოქმედებდა. ეს ყველგან ასეა, სადაც სახელმწიფო გაბატონებულია ეკლესიაზე, სადაც ეკლესია სახელმწიფოს ერთერთ უწყებად ითვლება. მაგრამ დიდი შეცთომა იქნება, აქედან ის დასკვნა გამოვიყვანოთ, თითქოს ის ავტოკეფალია, რომელსაც ქართველი სამღვდელოება და დემოკრატიული ნაწილი ჩვენის ერისა დღეს მხარს უჭერს, ასეთი ავტოკეფალია იყოს. ბ-ნი ნათაძე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ გველაპარაკება და ამიტომ საჭიროა ჩვენც სწორეთ ამ ავტოკეფალისტთა პროგრამას მივმართოთ. ასეთს პროგრამას წარმოადგენს სრულიად საქართველოს სამღვდელოების დეპუტატთა მიერ შემუშავებული „პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა“, რომელიც შემუშავებულ იქნა თბილისში ამ 12 წლის წინათ, სახელდობრ 1905 წელს და შემდეგს წელში დაიბეჭდა ქართულად და რუსულად „სასულიერო მოამბეში“ (იხ. „Духовный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата“ 1906 г. №№ 3 и 4) და რომელიც საფუძვლად უძევს დღესაც ჩვენს საეკლესიო საკითხს. აი რას ვკითხულობთ ამ პროგრამაში:

„§ 4. როგორც ზნეობრივ-სარწმუნოებრივის მიზნით არსებული საზოგადოება საქართველოს ეკლესია შეერთება თავის წევრებს მარტო ზნეობრივის პრინციპის მხრით და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომელისამე პოლიტიკურის ორგანიზაციისას. მსგავსადვე არც სახელმწიფოს აქვს უფლება ამ საზოგადოების შინაგან წეს-წყობილებასა და ცხოვრებაში ჩაერიოს, რადგან, როგორც ითქვა, ეს საზოგადოება არავითარს პოლიტიკურს და ეკონომიურს მიზანს არ ესწრაფვის. სახელმწიფო, როგორც ყოველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ ჰყოს ამ საზოგადოების წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან. რომ საქართველოს ეკლესიამ სამუდამოდ აიცილოს თავიდან ეჭვი ან ბრალდება ეგრეთ წოდებულს კლერიკალიზმში და თანაც სავსებით განახორციელოს თავის წევრთა სინიდისის თავისუფლება, აუცილებლად საჭიროა—განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც—ეკლესიისაგან: არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია—სახელმწიფოს საქმეებში“.

იკითხება: შეიძლება თუ არა ამგვარს ეკლესიას ეწოდოს „სახელმწიფოებრივი ეკლესია“? პასუხი თვით პატივცემულის გ. ნათაძისათვის მიგვინდვია.

აი კიდევ მეორე ადგილი იმავე პროგრამიდან:

„§ 8... როგორც ეკლესიის წევრად გახდომა ისე მასში დარჩენა ანუ გასვლა დამოკიდებულია თვით მორწმუნის სინიდისსა და სურვილზე...“

იკითხება: არის ამ მუხლში დაცული სინიდისის თავისუფლების პრინციპი თუ არა? იმედია ამის პასუხსაც პატივცემული ავტორი ბრძანებს.

მართალია საქართველოს ეკლესია, როგორც ყოველი მართლმადიდებლობითი ეკლესია, ტერიტორიალურია, მაგრამ ეს სრულებითაც იმას არა ჰნიშნავს, თითქოს ეკლესიას ჰქონდეს რაიმე საშუალება ან ძალა ყოველი მართლმადიდებელი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ტერიტორიაზე სცხოვრობს, უსათუოდ დაიმორჩილოს. ვისაც არ ჰსურს საქართველოს ეკლესიაში შემოვიდეს, არც შემოვა. ეკლესიას აქ შეუძლია მხოლოდ სურვილი გამოსთქვას და წინადადება მისცეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებს მართლმადიდებლებს—საქართველოს ეკლესიაში შემოვიდნენ, თანაც მისცეს მათ გარანტია ეროვნულ-სარწმუნოებრივ უფლებათა დაცვისა, მაგრამ ძალას კი ვერავის დაატანს. ასეთს გარანტიას კი საქართველოს ეკლესია აძლევს ყოველს არაქართველს მართლმადიდებელ ერს, რომელიც საკათალიკოზოს საზღვრებში ცხოვრობს: ეს გარანტია გახლავსთ რუსების შესახებ ავტონომიური ეპისკოპოსი (როგორც ეს გამოცხადებული იყო სამღვდელოების დეპეშაში დროებითის მთავრობის დეკლარაციის საპასუხოდ), რომელიც მხოლოდ ნომინალურად იქნება დამოკიდებული ქართველ კათალიკოზ-პატრიარქზე, ან ავტონომიური ეპისკოპოსი მისიონის სახით (როგორი მისიონიც ჰყავს რუსეთის ეკლესიას მაგალითად ამერიკაში). ავტონომიური ეპისკოპოსები მიეცემათ სხვა ერებსაც საკათალიკოზოს საზღვრებში, უკეთუ ამას თვითონ მოისურვებენ. ასეთია ქართველი სამღვდელოების პოზიცია ამ საკითხში.

რაც შეეხება სამღვდელოების რჩენის წესს და საზოგადოდ ქონებრივს საკითხს, ამის გასაშუქებლად საკმაოა იმავე პროგრამის უკანასკნელი მუხლები მოვიყვანოთ. აი ეს მუხლები:

„§ 25. აუცილებლად საჭიროა შეიცვალოს არსებული წესი სამღვდელოების რჩენა-შენახვისა. დღევანდელი სამღვდელოება ჯამაგირს იღებს ხაზინიდან, ხოლო საზრდოსა და წვრილ-წვრილ შემოსავალს—ხალხისაგან. აქედან წარმოსდგება თვით სამღვდელოების მდგომარეობას ორჭოფობა; იგი არც მთლად ხალხს ეკუთვნის და არც მთლად მთავრობას, რადგან ჰქმნის მრევლისა და სამღვდელოების გამწვავებულს ურთიერთობას. რომ ეს უხერხული მდგომარეობა მოისპოს და **სამღვდელოება მარტო მორწმუნეებს ეკუთვნოდეს, საჭიროა სამღვდელოებას ინახავდეს მარტო ის, ვისაც იგი ემსახურება, ე. ი. მრევლი ანუ მორწმუნეები.** მაშასადამე, პრინციპიალურად, საჭიროა მრევლმა პირდაპირ თვითონ უზრუნველ ჰყოს თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ—თავისი სამღვდელოება“.

„§ 26. მაგრამ, სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელში იმყოფება, **ქართველ ხალხს არ დაუბრუნებია...**; აგრეთვე, სანამ ის ჯამი, რომელიც დღეს ქართველ სამღვდელოებას ხაზინიდან ჯამაგირად ეძლევა, **ხალხის სახელმწიფო გადასახადს არ ჩამოაკლდება,**—მანამდე ქართველი სამღვდელოება მარტო ხალხს ვერ დააწვება სარჩენად. ამიტომ, სანამ რუსეთის დამფუძნებელი კრება სამღვდელოების რჩენის საკითხს გადასწყვეტდეს, სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდელოებას ჯამაგირი აძლიოს, ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც მის არსებობას უზრუნველჰყოფს“.

ასეთია ქართველი სამღვდელოების credo იმ სამ საკითხში, რომელთაც ბ-ნის ნათაძის წერილი ეხება. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს ეს საგანი საკამათოდ გავხადოთ. ახლა სამისოდ დრო არ არის. არც ის გვინდა ვსთქვათ, ვითომც ბ-ნს ნათაძეს განზრახ დაემახინჯებინოს სიმართლე. ჩვენის ღრმა რწმენით მთელი მისი წერილი ერთის სამწუხარო გაუგებრობის შედეგია და ჩვენც ჩვენი თავი ვალდებულად ჩავსთვალეთ ამ გაუგებრობაზე მიგვეთითებინა.

ს. გორგაძე.

მოსკოვის ქართველთა საზოგადოების დეპეშები

მოსკოვის ქართველთა საზოგადოების კრებამ შემდეგი დეპეშები გაგზავნა პეტროგრადში:

I

პეტროგრადი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლვოვს. მოსკოვის ქართველთა საზოგადოება დიდი სიხარულით ულოცავს მოძმე რუსის ხალხს გამარჯვებას და მოგესალმებათ თქვენ, როგორც სახალხო პირველ მმართველობის წარმომადგენელს. რუსეთის საზოგადოებამ იცის, რომ ძველი მთავრობა სჩაგრავდა ქართველებს და ეროვნულ თვითგამორკვევის საშუალებას უსპობდა. ხელშეკრულებით დაპირებული არა სრულდებოდა რა, აქტებითა და ტრაქტატებით მონიჭებული წართმეული იყო. რუსის ხალხი მუდამ დაჩაგრულების მომხრე იყო. თავის ნებით შეერთებულმა საქართველომ იცოდა, რომ სამართლიანი და არანაკლებ დაჩაგრული რუსის ხალხი ძველ მთავრობას მოქმედებას არ უდასტურებდა და სწამდა, რომ ადრე თუ გვიან მისის განთავისუფლების ჟამი დაჰკრავს. დროებით მთავრობის შემადგენლობა ქართველობას იმედს აძლევს, რომ მცირე ერთა უფლებები თავისუფალ რუსეთში დავიწყებული არ იქნება, რომ საქართველო თავის ისტორიულ და კანონიერ უფლებათა განხორციელების გზას ადგას და რომ ახლოა ის დრო, როდესაც ყოველ ქართველის ოცნება, ავტონომიური საქართველო თავისუფალ რუსეთის დროშის ქვეშ, აღსრულდება.

კრების თავმჯ. **მიხ. ზანდუკელი.**

II

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

„მოსკოვის ქართველთა საზოგადოება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიესალმება როგორც დემოკრატიულ რუსეთის აზრთა გამომომსახველს. ქართველებმა ვიცით, რომ რუსეთის დემოკრატია რუსეთში მცხოვრებ მცირე ერთა ინტერესების დამცველია და რომ დემოკრატიის გამარჯვება საუკეთესო თავდებია საქართველოს ავტონომიურ უფლებათა აღდგენისა.

კრების თავმჯდ. **მიხ. ზანდუკელი.**

თამარ ნიკ. პოპიაშვილისა, ფერშალი—მოწყალების და, საოფლესაგან გარდაიცვალა ამ წლის თებერვლის 26.

ეროვნული საკითხი

სომხები

მკითხველმა უკვე იცის, რომ ამას წინად მოსკოვის სომეხთა კომიტეტის თავმჯდომარემ მამიკონიანმა თავად ლვოვს დეპეშა გაუგზავნა და სომხების ავტონომია მოითხოვა. ეხლა მამიკონიანს თავს უდვია სომხეთის ეროვნულ ყრილობის მოწვევა. ამის გამო მას გაზ. „მშაკი“-სათვის შემდეგი დეპეშა გამოუგზავნია:

„ცხოვრებამ მრავალი საკითხები წამოაყენა. ამ საკითხების მიჩქმალვა უნაყოფო იქნება. ეს საკითხები ძალას გვატანენ დაუყონებლივ მოვიწვიოთ ეროვნული ყრილობა, რათა სავსებით და დაწვრილებით განხილულ იქმნას როგორც საპოლიტიკო აგრეთვე სხვა საკითხებიც. საჭიროა პეტროგრადში მუდმივ დელეგაციის დაარსება (მით უმეტეს, რომ პაპაჯანოვი იქ აღარ არის); ეს დელეგაცია რამდენიმე პირთაგან უნდა იქმნეს შემდგარი და ამის დაარსება გამოწვეულია მილიუკოვის წინადადებით სომხეთის საკითხის შესახებ და დამფუძნებელ კრების კომისიის შემადგენლობით; ამ კომისიაში შედიან ეროვნულ ჯგუფთა წარმომადგენელნი. ნუბარ-ფაშას დირექტივები უნდა მიეცეს, რათა მან საისტორიო მოთხოვნილებათა მიხედვით იმოქმედოს; საჭიროა გადასწყდეს საკითხები საეკლესიო, საეკლესიო ქონებისა, ლაზარევის ინსტიტუტისა და სხვა სკოლებისა, ოსმალეთის ქვეშევრდომ ტყვე სომხებისა, ლტოლვილ და გადასახლებულ სომხებისა და მრავალ სხვა საკითხებისა. ყველაფერი ეს ძლიერ ორგანიზაციას საჭიროებს. მთავრობა თვითონ სწყვეტს ყველა საკითხებს. თვალის დახუჭვა, გაჩუმება ეხლა, როდესაც მთავრობას ჰგონია, რომ ომის გარდა, შეუძლიან სხვა საქმისათვისაც იზრუნოს, იმას ნიშნავს, რომ საყვედური დავიმსახუროთ, ვითომც მთავრობის მიშველება არა გვსურდეს. ეხლა არ არის არც ერთი ისეთი ეროვნული ან პარტიული ორგანიზაცია გარდა უკულტურო ერებისა, რომელიც ცენტრში დიდ შრომაში არა მონაწილეობდეს. რუსეთის სხვა და სხვა პარტიები გვეკითხებიან, რა გსურთ, რის იმედი გაქვთო. საკითხს პირდაპირ და გადაჭრით გვიყენებენ. რუსეთის ცენტრები ეხლა მღელვარე ზღვას წააგავს, სადაც ყველა თავის ლოზუნგების დროშას აფრიალებს. გაჩუმებას, სურვილთა დამალვას ეხლა ეჭვის თვალით უცქერიან, ისე უცქერიან, როგორც საიდუმლო სურვილთა დაფარვას და პირმოთნეობას. მეორე მხრით დროებითი მთავრობა ყურ მახვილად ისმენს ყოველსავე ხმას და ყოველნაირ სამართლიან სურვილებს წინ ეგებება. დროების მიხედვით ჩვენ გაჩუმება არ ძალ გვიძს. ჩვენ იძულებულნი ვართ ხმა ამოვიღოთ, ჩვენი სურვილები გამოვსთქვათ. თუ ეხლა სომხის პასუხისმგებელი წრეები ხმას არ ამოიღებენ, მაშინ ისეთები გამოვლენ, რომლებიც პასუხისმგებლები არ იქნებიან და მაშინ უარესობა მოხდება. ერთად ერთი საშუალება ის არის, რომ მოწვეულ იქმნას ეროვნული ყრილობა, რომელიც მუდმივ ორგანოს ამოირჩევს. ამ ორგანოს თავის ავტორიტეტით შეძლება ექმნება ჩვენი ხალხის ინტერესები და შეხედულებანი გამოსთქვას. საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მოღვაწეების ყურადღება ერთხელ კიდევ მივაქციოთ ამ საკითხის საჭიროებას. ევროპის რუსეთის ქალაქებიდან, ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან მოგვდის რეზოლიუციები, სადაც ყრილობის მოწვევას მოითხოვენ. დაყოვნება სიკვდილის თანაბარია. კრების მოწვევა ერთი თვის შემდეგ უკვე გვიან იქნება—ზაფხული დგება.

კომიტეტის თავმჯდომარე **მამიკონიანცი.**

სომხების სახალხო თავისუფლების პარტიამ თავისი პროგრამა გამოაქვეყნა:

I. სომხების სახალხო თავისუფლების პარტია საერთო სახელმწიფოებრივ საკითხებში ემხრობა რუსეთის სახალხო თავისუფლების პარტიის უკანასკნელად გაუმჯობესებულ პროგრამას.

II. საეროვნო საკითხში, სომეხთა პარტია ემყარება რა ამავე პროგრამას შემდეგ პრინციპს აღიარებს:

„ამიერ-კავკასიის სომხურ ოლქებში სომხებმა უნდა მიიღონ ფართო საპოლიტიკო-ტერიტორიალური თვითმართველობა **საკანონმდებლო დაწესებულებით და ამავე დროს სომხეთი რუსეთის განუყოფელი ნაწილი იქნება“.**

შენიშვნა 1. თვითმმართველ ოლქების საზღვრების გამიჯვნის დროს აწ არსებული საადმინისტრაციო საზღვრები ეროვნულ შეჯგუფების მიხედვით უნდა შეიცვალოს.

შენიშვნა 2. ყველა თვითმმართველ ოლქში იმ ერთა ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ, პატივდებული უნდა იყოს.

III. ოსმალეთის სომხეთის საკითხი საერთაშორისო საკითხს შეადგენს და იგი მხოლოდ საერთაშორისო კონგრესზე გადასწყდება, მაგრამ პარტია უნდა ეცადოს, რომ ეს საკითხი ისე გადასწყდეს, როგორც ოსმალეთის სომხების სურვილი იქნება.

IV. საეკლესიო საკითხებში პარტია მოითხოვს: 1) აღდგენილ იქმნას სომხურ დამოუკიდებელ ეკლესიის ყველა უფლებანი. 2) მოწვეულ უნდა იქმნეს ეროვნული საეკლესიო კრებული სასულიერო და ერის კაცთაგან შედგენილი; ამ კრებულმა საეკლესიო საქმეებში თანამედროვე ცხოვრების მიხედვით ძირითადი ცვლილებები უნდა შეიტანოს.

8 აპრილი.

მოსკოვი. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რაც „ორუჟეინი პალატაში (სამხედრო მუზეუმია მოსკოვში) პოლონური ძველი დროშებია, პოლონელთა ახალ ლეგიონებს გადაეცით.

გამოხმაურება

დროებითს მმართებლობას დაუნიშნავს სენატორის რევიზია ჯარისათვის საკლავ საქონლის ყიდვის გამოსაძიებლად.

რევიზიის მწარმოებელ სენატორს დიდი უფლებები აქვს. მას დიდი და ათასნაირი საშუალება ეძლევა შეიტყოს ყოველივე წვლილი იმ აურაცხელი ბოროტებისა, რომელიც თან სდევდა ჯარისათვის საკლავ საქონლის ყიდვისა და დამზადების საქმეს.

ერთი ასეთი ბოროტების ამბავს მე მივაწვდი.

როცა სარიყამიშთან დამარცხდა ისხან ფაშას ჯარი, და რუსები შეიჭრენ ოსმალეთის შუაგულში, ბითლისისა და ტრაპიზონისკენ, ოსმალთ სოფლების ბინადარნი თავ-ქუდ მოგლეჯილნი გარბოდენ ცოლ-შვილის ამარა, და ყოველივე ქონება და საქონილი, როგორც წვრილფეხი, ისე მსხვილფეხი ოხრათ რჩებოდათ, აურაცხელი საქონელი—ცხვარი, ხარები და ძროხები, მცოდნე კაცების სიტყვებით, მილიონამდე სული, დარჩა რუსის ჯარს.

საოცრათ დაეცა საქონლის ფასი: **ძროხა** იყიდებოდა 1—5 მანეთამდე, **ხარი** ამდენადვე, ცხვარი თითო 10 პაპიროსი, ანუ 5 ნატეხ შაქრათ. გამოცდილი კაცები, რომელთა უმრავლესობას მანამდე თითქმის არავითარი თვალსაჩინო შეძლება არ ჰქონდათ, უცებ დამდიდრდენ: 1—5 მანეთად შეძენილ ძროხასა და ხარს, და 10 პაპიროსათ ანუ 5 ნატეხ შაქრათ მოპოვებულ ცხვარს რამდენიმე დღის შემდეგ ჰყიდდენ იმავე ჯარზე, საინტენდანტო მოხელეების მაშუალობით, ასს და ასს ორმოც და ათ მანეთად.

ამ ბოროტებამ ჩოდრები,*) ვინც ღარიბი იყო, გაამდიდრა, მდიდრები კი მილიონერებათ გახადა. ხოლო ხალხი კი, ოსმალნი, ქურთები და ჰანები ქონებრივათ მიწასთან გაასწორა. შემდეგ ბევრი მათგანი ისევ დაუბრუნდა თავის მიწა-წყალს და რუსის მთავრობის დასაპურებელნი გახდენ.

იმავ დროს, როცა ეს ერთი მილიონი სული საქონელი კიტრის ფასად იყიდებოდა სამხედრო კაცებისაგან ჩოდრებზე და ჩოდრებისაგან კი იგივე მხედრობა ჰყიდულობდა მამასისხლად, ჩვენში საკლავი საქონლის რეკვიზიცია (ძალით ყიდვა) არ შეჩერებულა!

ამ რევიზიციების წყალობით რამდენი მიწის მუშა დარჩა ჩვენში უხაროთ, და ამის გამო რამდენი მიწა დარჩა დაუთესველი, ძნელი გასაგები არ არის, თუ ეს ვისთვისმე საჭირო დარჩება.

მიწის მუშამ რა იცოდა, თუ ბრძოლის ველზე საქონელი იმდენი იყო, რომ კიტრის ფასად იყიდებოდა, ხოლო რეკვიზიტორებმა იცოდენ, მაგრამ უფროსების ბრძანების ბრმათ ამსრულებელნი ხალხს ვერ უმხელდენ სიმართლეს.

ილ. ჭყონია.

ვალ. გუნიას იუბილეის გარშემო

ვალერიან გუნიას საზეიმო პატივისცემა საბოლოოდ გადაწყვეტილია გაიმართოს შაბათს, 29 აპრილს თბილისის სახელმწიფო თეატრში. დღე უკვე აღებულია. ზეიმი გაიმართება ნაშუადღევის პირველ საათზე. მართალია შაბათი ხელს არ უწყობს დილის ზეიმს, რადგან ეს დღე სამუშაო დღეა, მაგრამ კვირა დღეს საზეიმო კომიტეტმა ვერ იშოვნა და ამიტომ იძულებული შეიქმნა დღესასწაული შაბათს გაემართნა. კომიტეტი საფუძვლიანად ფიქრობს, ვისაც დამსახურებული მოღვაწე-მოამაგის პატივისცემა სურს, შაბათ ნაშუადღევსაც მოახერხებს დასწრებას.

ვალ. გუნიას პატივისცემა პროვინციაში. თფილისის შემდეგ ვალ. გუნიას გაიწვევენ დრამატიული საზოგადოებანი ჯერ ქუთაისში, მერე ბათომსა და ბაქოში. საზეიმო კომიტეტს იმედი აქვს, რომ ვალ. გუნია თვის ბოლოსათვის საკმაოდ მოღონიერდება გამოვლილ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ და ადვილად შესძლებს პროვინციასაც ესტუმროს, თუ უცაბედი დაბრკოლება რამ არ შეხვდა.

საიუბილეო ალმანახი. მიხეილ გაჩეჩილაძე, სტამბა „სორაპანი“-ს პატრონი, უკვე ამთავრებს საიუბილეო ალმანახის ბეჭდვას და დამდეგ კვირაში ალმანახი გამოვა კიდეც გასასყიდათ. ალმანახი დასურათებულია მრავალის ნახატებით, რომელთა რიცხვი ორმოცზე მეტია. ალმანახში მოთავსებული იქნება სხვა და სხვა მოგონებათა და წერილების გარდა ლექსები გრიშაშვილისა, დ. ახვლედიანისა, ბაბილინასი, შიო მღვიმელისა, გ. გვაზავასი და სხვათა. ალმანახის შემოსავალი ხარჯს გარდა მოხმარდება იუბილარის ფონდს.

სიმართლის აღდგენა

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზ. „საქართველოს“ ერთ-ერთ ნომერში ჩემ შესახებ სიმართლეს მოკლებული ცნობა იყო მოთავსებული, რომელმაც ჩემ წინააღმდეგ ქართველობა აამხედრა. გთხოვთ ეს შეცთომა გაასწოროთ. პავლე საყვარელიძის მოხსენება ეროვნულ საკითხის და ავტონომიის შესახებ სხვებთან ერთად მეც მოვისმინე და კამათში მონაწილეობა მივიღე. ვთქვი, რომ ძირითადი იდეა ნოე ჟორდანიას პროექტისა ავტონომიის შესახებ უფრო მომწონს, ვიდრე პავლე საყვარელიძისა, რადგან ჟორდანია თანასწორის ყურადღებით ეკიდება კავკასიაში მობინადრე სხვა და სხვა ერებს-მეთქი.

წარმოიდგინეთ, როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა ამის შესახებ გაზეთში წავიკითხე ილია ნაკაშიძე ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომიასო! ეს იმასა ჰგავს—ორი კაცის ნაწერი, რომ მოისმინო, ერთი უფრო მოიწონო და შემდეგ გაზეთში დაგიწერონ: ეს კაცი მწერლობის წინააღმდეგი ყოფილაო.

ილია ნაკაშიძე.

ანჩის ხატის ტაძარში

ამ ტაძრის დღესასწაულად ძველთაგან დადგენილი იყო აღდგომის მეორე დღე, მენელსაცხებლე დედათაგან ღვთის მშობლის მილოცვის მოსაგონებლად. ამიტომ თვით ტაძარიც ღვთის მშობლის სახელზე იყო აგებული მეშვიდე საუკუნეში, მეფე ადარნასე და კათალიკოზ-პატრიარქ ბაბილას დროს. ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს, როდესაც კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ ამ ტაძარში დაასვენა **ანჩის ხატი,** ჰეროხის ხეობიდგან, **ანჩიდგან,** აქ გადმოსვენებული, თვით ტაძარსაც ეწოდა ამ ხატის სახელი—„**ანჩის ხატისა**“. ეს ხატი,—„**ხელთ-უქმნელი პირი ღვთისა**“, წმ. თამარისაგან საუცხოო ხელოვნებით მოჭედილ-გამშვენებული და სასწაულთ მოქმედებით „ცხოველად“ წოდებული ჩვენში, დიდ სასოებას იწვევდა ქართველ მორწმუნეთა შორის და საკუ-

---

*) საქონლით მოვაჭრე.

თარი დღესასწაული დაუდგინეს მას 16 აგვისტოს. ამ სახით ანჩის ხატის ტაძარს ორი დღესასწაული ჰქონდა: ერთი კერძოდ თავისი, ძველთაგანი,— აღდგომის მეორე დღეს, მეორე, უფრო აწინდელი, 16 აგვისტოს. ერთსაც და მეორესაც ბრწყინვალედ ასრულებდა ჩვენი ერი სანამ ის თავის თავს ეკუთვნოდა და თვის სარწმუნოებრივ საქმესაც თვით განაგებდა. აღდგომა დღეს ჩვენი კათალიკოზ-პატრიარქი პასექის ლიტანიას სიონის ტაძარში შეასრულებდა ხოლმე, მეორე დღეს კი უსათუოდ მწირველი იყო ანჩის ხატში.

ეს ძველი წესი აღადგინა წელს მისმა მეუფებამ სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრემ ყოვლად უსამღვდელოესმა ლეონიდემ, რომელიც დიდძალ მორწმუნეთა თანადასწრებით აღდგომა დღეს მწირველი ბრძანდებოდა სიონის ტაძარში, ხოლო მეორე დღეს ანჩის ხატში, იმერეთის ეპისკოპოზ გიორგის და გორისა ანტონის თანამწირველობით. მის მეუფებას ტაძრის კარი-ბჭეში მიეგება ამ ტაძრისავე წინამძღვარი დეკ. ნ. თალაქვაძე შემოსილი, ჯვრით ხელში, და მიესალმა შემდეგის სიტყვით:

ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!

„აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდენ მოძულენი მისნი **პირისაგან** მისისა“!

სხვათა შორის ამ სიტყვებით უღაღადებს წმ. ეკლესია ქრისტე მაცხოვრის მკვდრეთით ბრწყინვალე აღდგომას. ეს სიტყვები ქრისტეს აღდგომის საგალობელისა საზოგადო სარწმუნოებრივ სიხარულის გამომსახველია მთელს საქრისტიანოში, მაგრამ განსაკუთრებულის აღფრთოვანებით ხმობს მას დღეს ეს ჩვენი ძველის-ძველი სიწმინდე—ანჩის ხატის ტაძარი!

ვინ მოსთვლის, მეუფეო, თუ რამდენი „მტერნი“ და „მოძულენი“ ეხვეოდენ ამ მეშვიდე საუკუნის ქრისტიანობის მხურვალე კერას ჩვენის დედა-ქალაქისას და ლამობდენ მის შემუსვრა-განიავებას! მაგრამ „ყოველნი მტერნი და მოძულენი“ ამისნი არა ერთხელ გამქრალან, ვითარცა კვამლი, არა ერთხელ დამდნარან, ვითარცა ცვილი წინაშე ცეცხლისა! ქრისტე მაცხოვრის „მტერნი და მოძულენი“ არა ერთხელ შემოენარცხენ ამ ტაძრის სალ-კლდოვან ზღუდეებს, ისინი წარხდნენ, ივლტოდენ და განიბნინენ, ხოლო ესე ჰგიეს შეუძვრელად! დიდება ღვთის განგებასა!

მტერნი და მოძულენი ჩვენი მაინც არა სცხრებოდენ, ისევ იკრებდენ ძალას, ისევ გვეხეთქებოდნენ ხოლმე და სჯულის წარხოცვას გვიქადდენ. მაშინ ჯვარის მტვირთველი ქართველი ერი ეძმო, ეკავშირა ერთ მორწმუნე დიდ რუსეთს **სჯულისა და თვით არსებობის შესანარჩუნებლად.** ერთ-ერთი ფურცელი ამ შეკავშირების ისტორიისა დაიწერა ამ საყდარში, იმ დროს მცხეთის კათალიკოსის კარის ეკლესიაში. პირველ დეკემბერს 1799 წელს საქართველოს უკანასკნელმა მეფემ, გიორგი XIII, აქ ფიცი მიიღო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე, მინისტრის კოვალენსკის და საქართველოს ელჩის გარსევან ჭავჭავაძის თანადასწრებით. იმ დღეს ანჩისხატის ეკლესიაში მწირველნი იყვნენ კათალიკოზი ანტონი, მთავარ ეპისკოპოზი იუსტინე, არსენი თბილელი, იოანე ბოდბელი და სტეფანე რუსთველი. გალობდა გურულ მგალობელთა გუნდი —ლოტბარი გერასიმე ანთაძე, ძმა მისი ოთარ და შვილი გიორგი.

დიდის ზეიმით გადაიხადა თბილისმა ეს დღე: „მეფე ქრისტიანე ადიდებდა მეფესა ერთ-მორწმუნესა, მართლ-მადიდებლობის მისაყრდნობელსაო“,—მოგვითხრობს მატიანე“*)...

მაგრამ მალე აღმოჩნდა, თუ როგორი „**მისაყრდნობელი**“ იპოვნა რუსეთის თვითმპყრობელებში ჩვენმა სამშობლომ და მისმა მართლმადიდებლობამ!.. მათ დაარღვიეს დადებული ხელთ-შეკრულება, დაატყვევეს და დაიმონავეს საქართველო, დააქვრივეს და გაფცქვნეს ავტოკეფალური ივერიის სამოციქულო ეკლესია. სამშობლოდგან გააძევეს დარბაისელი კათალიკოსი ანტონი, გადაასახლეს ის ცივ რუსეთში, სადაც მან ჩაჰყარა თვისი განაწამები ძვლები. მიჰფანტ-მოჰფანტეს მთავარ ეპისკოპოსიც, თბილელიც, რუსთველიც და სხვები და სხვებიც! ჩვენის ეკლესიის მართვა-გამგეობა **იკადრა** ანტი-კანონიურმა რუსეთის კლერიკალურმა სინოდმა ეგზარხოსების საშუალებით. ერთმა ამათგანმა რო ვერ დაიმორჩილა ძლიერი სული გენათელ და ქუთათელ მიტროპოლიტთა, განაძევა ესენიც სამშობლოდგან. ისინი გზაშივე მოწამებრივად აღესრულენ...

დაქვრივდა ივერიის ეკლესია! დაობლდა ეს ტაძარიც, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულიდგან გვესვენია უდიდესი სიწმინდე ქრისტიანობისა—„ხელთ-უქმნელი პირი ღვთისა“, ანჩიდგან აქ გადმოსვენებული! გაპარტახდა, აოხრდა აქაურობა. განადგურდა ყველა განმანათლებელი, კულტურული დაწესებულება, რომელიც აქ, კათოლიკოზის გარშემო, თავს იყრიდა. აქაურობა გადაიქცა სასინოდო კანტორის მოხელეთა და ეგზარხოსების მსახურთა ბუნაგად. გავერანდა და გაიძარცვა მდიდარი ტაძარი, წაიბილწა ის ათასგვარ უსაქციელობით, დაეპატრონენ რა მის, ეზო-მიდამოებს ვიგინდარები!..

თქვენს მეუფებას კარგად მოეხსენება ყოველივე ესე. თვით განგიცდიათ ამისგამო დიდი მწუხარება. ერთ დროს მოღვაწეობდით კიდეც ამ სიწმინდის აღსადგენად, ბევრიც იმოქმედეთ ამ მხრივ, მაგრამ თქვენს შემდეგ ისევ დასცეს, ისევ გააავერანეს ანჩის ხატი. თუ ვინმე წინამძღვართაგანი გამოჩნდებოდა აქ მომქმედი და გულ—შემატკივარი, ასეთებს მალე აჰბარგავდენ ხოლმე აქედგან, როგორც ეს უყვეს მაგალითად, პატივცემულ ისტორიკოსს მღ. მამა პ. კარბელაშვილს. მამა პ. კარბელაშვილმა გააძევა აქედგან ვიგინდარა—ჩამოსახლებული მოლოზნები და შეედავა სასინოდო კანტორას უსამართლოდ, ძალ-მომრეობით, დაფლობილ ეკლესიის ეზო-მიდამოზე. ამ დავას ვაწარმოებდით უკანასკნელ დრომდე...

შემდეგ ის დაკანონდა, დაძაბუნდა აქაურობა, რომ ჩამოეცალა ამ ტაძარს მისი ძველი დიდებული მრევლი. ანჩისხატის ტაძარი ერთ-ერთ უკანასკნელ სამრევლოდ-ღა იყო ყველასგნით მიჩნეული. აქ ამწესებდენ მოხუცებაში გადამდგარ პირთ ან ვისიც სასტიკად დასჯა სურდათ ეგზარხოსებს. ჩემი ულირსებაც ამ სახით გადმომიყვანეს აქ ჩვენის ქვეყნის „მტერ-მოძულეებმა“. გადმომიყვანეს დიდის ქებით, დიდებით და იმედებით, ვითომ ამ ძველის-ძველ სიწმინდის აღსადგენად და გასამშვენიერებლად! ნამდვილად კი მწარედ დამსაჯეს სიწმინდესაც და სხვებსაც! მაგრამ ღვთის დაცინვა არავის შერჩენია და სასწაულებრივ საშინელებით დაისაჯნენ დამცინავნი. ეს ყველამ უწყის დღეს!..

მიუხედავად ამისა შინაური თუ გარეშე „მტერ-მოძულენი“ ჩვენნი ისევ განაგრძობდენ **პირი ღვთის** წინააღმდეგ უგუნურ ბრძოლას, ამ სიწმინდის და ეროვნულ საგანძურის აბუჩად აგდებას. ამათ, ამ უკანასკნელ წელს, არც კი **იკადრეს აქ წირვის შესრულებაც კი,**—აღარ დასცალდათ,—ისე გამოაცალა მათ განრისხებულმა განგებამ ფეხ ქვეშ ნიადაგი!..

დაიმსხვრა მონობის ბორკილი! 27, 28 თებერვალი და ორი მარტი 1917 წლისა რუსეთის საბრძანებლის ისტორიაში მუდამ წარუხოცელი დარჩება. ამ დღეებში გამოიჭედა რუსეთის ერთა თანასწორობა და თავისუფლება! დაემხო ის ძალა, რომელმაც დაატყვევა და დაიმონა ჩვენი სამშობლო. შესწყვიტა მაჯის ცემა იმ დესპოტიამ, რომელმაც კლერიკალურ რუსეთის სინოდს გადაუგდო სახრავ-საჯიჯგნავად წამებრივ სისხლში განბანილი ივერიის ეკლესია. დაეცა სინოდიც და 12 მარტს აღსდგა მშობელი ჩვენი ეკლესია!

ჭეშმარიტად აღსდგა ჩვენთვისაც ქრისტე ღმერთი, განიბნინენ მტერნი ჩვენნი და ივლტიან პირისაგან მისისა მოძულენი ჩვენნი!

ქართველმა მართლ-მადიდებელმა ერმა, რომელიც თავსმოეგო, თვის ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ 12 მარტს ამოგირჩიათ თქვენ, მეუფეო ლეონიდე, მშობელ ეკლესიისათვის დიდო ჭირნახულო და დამაშვრალო.

დიდის სიხარულით, მოკრძალებით და სასოებით გეგებები დღეს მცირე მოძღვარი ამ ტაძრის კარი-ბჭეში [illegible] თქვენთან ერთად ყოვლად სამღვდელონოთ გიორგის იმერეთისას და [illegible] ჩვენს გორისას. მოვედით, მეუფენოთ [illegible] მწყემსთავარნო! შესწი[illegible] ჩვენს სასო პირი [illegible] მსხვერპლი. [illegible] შეავედრეთ ჩვენი სამშობლო ქვეყანა თავისუფლებული [illegible] მას განახლებული, [illegible] მასში მისი მუდამ დიდი რუსეთი[illegible] დღესაც ჭირში ერთგული, [illegible] ქართველ[illegible] და ლხინში [illegible] ერი, რათა მიიკრიბოს მან თვისი ძალ-ღონე, თვისი ზნეობრივი და ნივთიერი ენერგია, რათა თვით გაუძღვეს თვის საკუთარ საქმეებს, თაოსან იქმნას ქართველი ერი თვის სამშობლო საქართველოში! შეევედრეთ პირი ღვთისას, მეუფეო, რათა მან მოგცეს თქვენ ძალი და ღონე, სიბრძნე და გამჭრიახობა მიიყვანოთ უსამართლობის სასტიკ ქარიშხალისაგან დაზიანებული ჩვენი ეკლესიის ხომალდი მშვიდ ნავთსაყუდელში.

„ესრედ წარწყმდენ ცოდვილნი პირისაგან ღვთისა და მართალნი იხარებდენ! ესე არს დღე იგი, რომელი ქმნა უფალმა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“.

ქრისტე აღსდგა! გიხაროდენ!

წირვაზე გალობდა ორი გუნდი, ერთი გურულ კილოზე, ბ. ი. ქათამაძის ლოტბარობით, მეორე ოთხ ხმაზე ბატონ ლაბაძის ლოტბარობით. წირვის გათავებისას კათალიკოსის მოსაყდრემ მორწმუნეთ მიმართა მხურვალე მოძღვრებით ქრისტეს სჯულის ცხოველ-მყოფელობაზე და შიგა და შიგ ჩაურთო თანამედროვე მოქალაქობრივ-ეროვნული მოტივები ჩვენი ქვეყნის განვითარება-აღორძინებაზე. შემდეგ ლიტანიით შემოუარეს ტაძარს და მრავალ-ჟამიერობითი მოიხსენია პროტო-დიაკონმა სალარიძემ რუსეთის კეთილ-მორწმუნე დროებითი მთავრობა, ძლევა-მოსილი ქრისტეს მოყვარე მხედრობა, კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდე და კეთილმსახური ერი ჩვენი.

დღესასწაულის გარდახდის შემდეგ ეპისკოპოზნი, სამღვდელონი და საზოგადოების წარმომადგენელნი მიწვეულ იქმნენ წინამძღვრის ბინაზე, სადაც მათ მიიღეს პურ-მარილი.

---

*) გიორგი მეცამეტის ცხოვრება, პლ. იოსელიანისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 143—144.

რედაქტორ-გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (ზ.—202—)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი კბილისა
ე. ივ. ბაღარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმ[illegible]
ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა **მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოზანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრიანისა, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9\frac{1}{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—8 საათამდე.

[illegible] „914“ და „608“
[illegible]

[illegible]
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
[illegible]
ბავშვთა, შინაგან და [illegible] ავადმყოფებს **მიიღებს** [illegible] ქ. № 8.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.
თფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი მასთან იაფი საშუალება

სიფილისს, სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას **სასწრაფოდ კურნავს** საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება პროფესორ როშის

იოდასტარინი

ნუ შეგვაცვლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშის პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, ½ 16 მანეთი ¼ 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторій, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго банка.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

ლაღიძის

და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია



ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად **უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან,** ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ თავართქილაძეს. (უ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**დ. მაილოვის-ძმით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **მიზნადა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ **ხიზილალა.** მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველნაირი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ [illegible].

ქარებს (რევმატიზმის),
ნეკრესის
თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „**უროდონალ**“, და მაზი წასასმელი „**ატრო**“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „**ურდონალისა**“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „**ურდონალი**“ და ოთხი კოლოფი მაზი „**ატრო**“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სუსუნატით (ჭოჭორა)
ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „**რეზუროლინი**“, რომელიც სულ ცოტახანში **არჩენს გაარჯულებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას,** ბისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „რეზუროლინი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

„რეზუროლინი“

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებულისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შედგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება“ ალექს. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.